ასოციაცია HERA XXI
ყოველწლიური ბიულეტინი
2023

ჰერა HERA XXI

სარჩევი

1. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ეფექტური ადვოკატირება 3
2. წვდომა მაღალხარისხიან სრჯუ სერვისებზე.....6
3. ციფრული ჯანდაცვა-მედკომპასი/MEDCOMPASS.....9
4. ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება 10
5. ახალგაზრდები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის.....11
6. მოხალისეობა 13
7. ასოციაცია HERA XXI სოციალურ მედიაში ….....14
8. საერთაშორისო შესაძლებლობები ასოციაცია HERA XXI-ში.....15
9. მობილიზებული რესურსების პროცენტული განაწილება ასოციაციის სტრატეგიული მიმართულების მიხედვით 16



1 სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ეფექტური ადვოკატირება

ასოციაცია ხელს უწყობს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას: ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების, კანდიდატის სტატუსის რეკომენდაციების და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების კუთხით.

სექსუალურ და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ეფექტური ადვოკატირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება სტიგმისა და სტერეოტიპების საკითხი. აღნიშნული გამოწვევა ახდენს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან საკითხის დეპრიორიტიზირებას, პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციისგან თავის არიდების მიზნით.

ადვოკატირება საერთაშორისო დონეზე:

- SDG(მდგრადი განვითარების მიზნები)-ასოციაცია HERA XXI არის სამხრეთ კავკასიის რეგიონული სამუშაო ჯგუფის წევრი, რომელსაც ხელმძღვანელობს CENN-ი. ასოციაცია ხელმძღვანელობს მეხუთე მიზანს: ,,გენდერული თანასწორობა“ და საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად კოალიციურად ამზადებს ჩრდილოვან ანგარიშს;
- 17-18 ოქტომბერს, ქ.ჟენევაში გაიმართა რეგიონული ახალგაზრდული კონსულტაციები მოსახლეობასა და განვითარებაზე: უფლებებისა და არჩევანის უზრუნველყოფა და 19-20 ოქტომბერს რეგიონულ კონფერენცია ICPD30, მოსახლეობა და განვითარება: უფლებებისა და არჩევანის უზრუნველყოფა, რომელშიც საქართველოდან ახალგაზრდა წარმოდგენილი იყო ასოციაცია HERA XXI-ის მხრიდან.

ახალგაზრდამ გააჟღერა ახალგაზრდების ხმა შემდეგ საკითხებზე: ახალგაზრდებისთვის მაღალხარისხიან, კეთილგანწყობილ სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება, კონტრაცეპტივებსა და უსაფრთხო აბორტის სერვისზე ხელმისაწვდომობა;

- ასოციაცია HERA XXI-მა, როგორც IPPF-ის წევრმა ორგანიზაციამ გააზიარა ადვოკატირების საუკეთესო პრაქტიკა ქ.სოფიაში.

ადვოკატირება ეროვნულ დონეზე:

- ასოციაცია HERA XXI-მა, როგორც ახალგაზრდული სააგენტოს პარტნიორმა, მონაწილეობა მიიღო სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის 2023-2026წწ და 2023 წლის სამოქმედო გეგმის და 2024-2025 წწ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, სწორედ ორგანიზაციის ძალისხმევით მოხდა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების მიმართულებით ღონისძიებების ინტეგრირება, მეორე ამოცანის ფარგლებში: ,,ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაძლიერება“, ახალგაზრდულ პოლიტიკის დოკუმენტებში;

- ასოციაცია HERA XXI-ის წარმომადგენელი არის ეროვნულ ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრი და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების თემებზე ეწევა ადვოკატირებას ეროვნულ დონეზე;

- ასოციაცია HERA XXI-მა დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, შეიმუშავა ეროვნული სასწავლო კურსი სრჯუ საკითხებზე მასწავლებლებისთვის.

ადვოკატირება ადგილობრივ დონეზე:

- ასოციაცია HERA XXI მუშაობს 5 მუნიციპალიტეტში, ესენი: ნინოწმინდა, ახალქალაქი, ქუთაისი, გორი, თბილისი ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურებათ და გენდერულ საბჭოებთან და ადგილობრივ დონეზე ეწევა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ადვოკატირებას;

- ასოციაციამ სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის 2023-2026წწ და 2023 წლის სამოქმედო გეგმის მეორე სტრატეგიული მიზნის ფარგლებში ,, ,,ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაძლიერება“ ახალგაზრდულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, ქ.თეთრიწყაროში და სოფელ წეროვანში ჩაატარა საკომუნიკაციო-საადვოკაციო კამპანია ჯანსაღი ცხოვრების წესთან და ქცევასთან დაკავშირებით;

- ასოციაცია HERA XXI -მა ჩაატარა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან კამპანია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან თანამშრომლობით;

ასოციაცია HERA XXI-ის ადვოკატირების ეროვნულ დონეზე შესაბამისობა IPPF სტრატეგიასთან და გლობალურ დღის წესრიგთან



IPPF-ის სტრატეგია

ასოციაცია HERA XXI-ადვოკატირება

ასოციაცია HERA XXI-ის მიერ აღებული ნაირობის ვალდებულებები

მდგრადი განვითარების მიზნები

წვდომა მაღალხარისხიან სრჯუ სერვისებზე



ასოციაცია HERA XXI წლებია მუშაობას სრჯუ ხარისხიანი სერვისების მიწოდებაზე ყველასთვის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის: მოზარდ-ახალგაზრდები 14-29 წწ, სოფლად მცხოვრები გოგონები და ბიჭები, სიღარიბის მიღმა მცხოვრები ქალები, შშმ პირები, აივ პოზიტიური პირები, მაღალი რისკის ჯგუფების ქვეშ მყოფი პირები და ლგბტ თემის წარმომადგენლები.

- ონლაინ კონსულტირება- ასოციაცია,, HERA XXI“– ბენეფიციარებს ოჯახის ექიმის, ექიმ-რეპროდუქტოლოგისა და იურისტის უფასო, დისტანციურ, ონლაინ კონსულტაციას სთავაზობს (ცხელი ხაზი, ვიდეო კონსულტაცია, ონლაინ ჩატები), რაც ხელს უწყობს რეპროდუქციულ სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობას და იურისტის მიერ გენდერულად სენსიტიური და უფლებრივი მიდგომებით, რჩევების მიღებას.
- ინფორმაციული უზრუნველყოფა - ითვალისწინებს რა ინფორმაციის გაფილტვრასთან დაკავშირებულ სირთულეებს, ასოციაცია HERA XXI ბენეფიციარებს სთავაზობს სანდო ინფორმაციას რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ. ორგანიზაციას გააჩნია საკუთარი ციფრული პლატფორმები - სექსუალური კონსულტირების კაბინეტი და ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ თემატურ სტატიებს, დაესწრონ LIVE ჩართვებსა და დასვან შეკითხვები სრულიად ანონიმურად;
- ახალგაზრდებზე მორგებული კეთილგანწყობილი სერვისებისთვის, ახალგაზრდების საჭიროებების გამოსავლენად მუშაობს ახალგაზრდული მუშაკის სერვისი. ახალგაზრდული მუშაკი მოზარდ-ახალგაზრდებს უწევს როგორც დისტანციურ/ონლაინ მომსახურეობას, ასევე ატარებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტიპის შეხვედრებს. აქტიურად მუშაობს ახალგაზრდებისთვის შექმნილი სოციალური პლატფორმები: ასოციაცია ჰერა- XXI ახალგაზრდული ქსელი YOUTHnet of Association HERA - XXI , ჰერა ოცდაერთი - ალუმნების ქსელი , სადაც ეტაპობრივად ტარდება Live ჩართვები და იდება ახალგაზრდული მუშაკის მიერ მომზადებული სტატიები მოზარდ-ახალგაზრდებისთვის საჭირო თემებზე, რომელიც მათთან შეხვედრების შედეგად გამოვლინდა.
- 2023 წელს ონლაინ სერვისის პარალელურად ასოციაცია ანხორციელებდა ვიზიტებს ადგილზე სერვისის უზრუნველყოფის მიზნით მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლებისთვის.

ასოციაცია HERA XXI-მა კასპის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან თანამშრომლობით, 2023 წლის 20 მაისს კასპის რაიონში ექიმ გინეკოლოგ-რეპროდუქტოლოგის ჩართულობით მიზნობრივ სეგმენტს მიაწოდა სრული გინეკოლოგიური სერვისი, ბენეფიციარებს

ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სრულიად უფასოდ გადაეცათ კონტრაცეფციული საშუალებები. პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში, ხდებოდა რეფერალი შესაბამის სერვისთან.

ხოლო 2023 წლის 22 ივლისს ასოციაცია HERA XXI-ის ინიციატივით, ციფრული ტექნოლოგიების სააგენტო NEO TV და ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა თანამშრომლობით ოკუპირებული ტერიტორიების სასაზღვრო ზონაში, სოფელ ერგნეთში მცხოვრებ მოსახლეობას მიაწოდა ყოვლისმომცველი სამედიცინო მომსახურეობა: ოჯახის ექიმის, ექიმ გინეკოლოგის, ექოსკოპისტისა და ფსიქოლოგის კონსულტაცია. ვიზიტის ფარგლებში სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, ფერტილური ასაკის ქალებს, მენოპაუზის პერიოდში მყოფ ქალბატონებს, ახალგაზრდა გოგონებსა და მოზარდებს გაეწიათ უფასო კონსულტაციები, ჩაუტარდათ ულტრასონოგრაფიული დიაგნოსტიკა და საჭიროებისამებრ გადაეცათ კონტრაცეფციული საშუალებები და ორსულობის ტესტები, დასაჩუქრდნენ საინფორმაციო ბროშურებითა და სიმბოლური საჩუქრებით.

- მოწყვლადი ჯგუფების მხარდასაჭერად ასოციაცია HERA XXI-ის თემის მობილიზატორი აქტიურად მუშაობს სოფ. ერგნეთში. ეტაპობრივად ხვდება სოფლის მოსახლეობას, აწარმოებს გამოკითხვას, იკვლევს მათ საჭიროებებს და ახდენს დაინტერესებული პირების ასოციაციის დისტანციურ სერვისებთან სწრაფ და ეფექტურ გადამისამართებას.

- მიმართვიანობა ოჯახის ექიმთან- 10 057
- მიმართვიანობა იურისტთან-401
- მიმართვიანობა გინეკოლოგ-რეპროდუქტოლოგთან-104

ორსულობის უსაფრთხო შეწყვეტა

- ასოციაცია HERA XXI ეწევა საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობას, მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე;
- თანამშრომლობა საქართველოს მეანგინეკოლოგთა პროფესიულ ასოციაციასთან, ორსულობის უსაფრთხო შეწყვეტის პროტოკოლის განახლებასთან დაკავშირებით.
  კერძოდ, პაციენტის აბორტისწინა კონსულტირების და ინფორმირების, კონსულტირების და გადაწყვეტილების მიღების საკითხებზე- UNFPA-ს მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი.
- ჩაატარა საინფორმაციო-საკომუნიკაციო კამპანია ახალგაზრდა ქალებსა და გოგონებში უსაფრთხო აბორტის თემასთან დაკავშირებით;



სამოქალაქო სექტორის სოლიდარობა

ასოციაცია აქტიურად მუშაობს სამოქალაქო სექტორთან ერთად ქალთა და გოგონათა უფლებების დასაცავად სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების და გენდერული ნიშნით ძალადობის თემებზე.

- 2023 წლის 8 მარტს, ასოციაცია HERA XXI-ის წევრები შეუერთდნენ ქალთა მოძრაობის მარშს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში;
- ასევე, ასოციაცია HERA XXI შეუერთდა მარტის მოვლენებს და <u>გამოხატა მკაფიო პოზიცია</u> რუსული კანონის წინააღმდეგ. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ კანონპროექტი საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და ზიანის მომტანი იყო ევროპული მისწრაფებებისთვის. აღნიშნული კანონპროექტი საშიშროებას წარმოადგენდა ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებისათვის, რადგან ხელს შეუწყობდა ანტიგენდერულ განწყობებსა და წაახალისებდა ანტიევროპულ მოძრაობას.

ციფრული ჯანდაცვა

ასოციაცია HERA XXI-მა 2023 წელს ჩაუშვა ციფრული ჯანდაცვის მობილური აპლიკაცია მედკომპასი, რომელიც არის სწრაფი, ეკონომიური, მიუკერძოებელი, სანდო სამედიცინო საინფორმაციო გზამკვლევი, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ მიუკერძოებელი ონლაინ მომსახურება მაღალკვალიფიციური სპეციალისტისგან.

პოტენციურ ბენეფიციარებს და დაინტერესებულ პირებს ერთ სივრცეში დახვდებათ სანდო ინფორმაცია, თემატური სტატიები მათთვის აქტუალურ თემებზე, მოძებნიან ახლომდებარე კლინიკას, შეარჩევენ და სახლიდან გაუსვლელად დაჯავშნიან ვიზიტს სასურველ სპეციალისტთან, ისარგებლებენ ქოლ-ცენტრით, სადაც ოჯახის ექიმი, გინეკოლოგი, იურისტი და ახალგაზრდული მუშაკი გაუწევთ დისტანციურ მომსახურებას არადისკრიმინაციულ, უსაფრთხო გარემოში. აპლიკაცია მორგებულია პაციენტის მოთხოვნებსა და საჭიროებებზე: მედკომპასი უზრუნველყოფს პრევენციული მედიცინაზე ოჯახის ექიმის ხარისხიან უწყვეტ მომსახურებას დაავადებების ადრეულ ეტაპზე თავიდან აცილების მიზნით მთელი ცხოვრების მანძილზე.
მობილური აპლიკაციით სარგებლობისთვის საჭიროა ინტერნეტთან წვდომა და რეგისტრაციის გავლა. [აპლიკაცია ხელმისაწვდომია ანდროიდის სისტემაზე.]

4 ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება

ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების მიწოდება ახალგაზრდებისა და პროფესიული ჯგუფებისათვის ჯერ კიდევ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოსთვის. აღნიშნული განპირობებულია საზოგადოებაში გავრცელებული ცრურწმენებითა და სტერეოტიპებით, ეფექტური ტრენინგებისა და შესაბამისი მასალის ქართულ ენაზე არ არსებობით. ასოციაცია HERA XXI თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ყოველწლიურად ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელიც შეამცირებს ზემოთ ხსენებულ ხარვეზებს და ხელს შეუწყობს საზოგადოებისათვის ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების მიწოდებას.

ფორმალური განათლება

ასოციაცია HERA XXI-მა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან ერთად სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში შექმნილი მასწავლებელთა ეროვნული აკრედიტებული ონლაინ კურსი ფარგლებში, გადაამზადა სამოქალაქო განათლების, ბიოლოგიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები.

კურსი წარმატებით დაასრულა 20-მა მასწავლებელმა.

<u>კურსი განთავსებულია EDX-ის პლატფორმაზე.</u>

არაფორმალური განათლება

- 24 გადამზადებული თანასწორ-განმანათლებელი, რომელთაც გაიარეს თემატური სესიები და ორ დღიანი ტრენერთა ტრენინგი;
- მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიების ჯამური რაოდენობა- 85;
- ახალგაზრდების რიცხვი რომელიც დაესწრო საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიას „ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში“ სახელმძღვანელოს **ყველა თემაზე**-150;
- ახალგაზრდების რიცხვი რომელიც დაესწრო საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიას „ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში“ სახელმძღვანელოს **რამდენიმე თემაზე**- 248;
- ახალგაზრდების რიცხვი რომელიც დაესწრო საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიას „ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში“ სახელმძღვანელოს **ერთ თემაზე**-1600ზე მეტი;
- თანამშრომლობა საჯარო სკოლებთან- ასოციაციამ დაბა წაღვერის საჯარო სკოლასთან თანამშრომლობით ჯანმრთელობის საერთაშორისო დღის ფარგლებში ჩაატარა კამპანია.

5 ახალგაზრდები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის

2023 წელი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით. სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით ორგანიზაციის ბაზაზე 5 ახალგაზრდული ჯგუფი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების მიმართულებით წარმატებით საქმიანობს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში: თბილისი, გორი, ქუთაისი, ნინოწმინდა, ახალქალაქი. ჯგუფები, თვითშემუშავებული სამოქმედო გეგმებით თვითონ განსაზღვრავენ მიზნებს, ამოცანებს, საქმიანობებს, და ამ გეგმების თანახმად ატარებენ სხვადასხვა ტიპის შეხვედრებსა და კამპანიებს.

ორგანიზაცია ორიენტირებულია თანაბარი პირობებისა და შესაძლებლობების შექმნაზე გენდერულად მრავალფეროვანი იდენტობის მქონე ახალგაზრდებისთვის. თითოეულ მუნიციპალიტეტს ასოციაცია HERA XXI-ის თანასწორ-განმანათლებლების, ლიდერების, მოხალისეებისა და აქტივისტების სახით ჰყავს თანამედროვე ცოდნით და უნარებით აღჭურვილი ადამიანური რესურსი, რაც ხელს უწყობს სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას და წვდომას კეთილგანწყობილ ხარისხიან ჯანდაცვის სერვისებზე, რაც ეროვნულ დონეზე პასუხობს საქართველოს 2023-2026 წლების ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიისა და 2023 წლის სამოქმედო გეგმის მეორე სტრატეგიულ ამოცანას: „ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაძლიერება“.

2023 წელს მრავალფეროვანი პრაქტიკები დაგროვდა ჯგუფების მუშაობიდან ახალგაზრდული სივრცეების მოძიებისა და გამოყენების კუთხით:

- ❑ თანამშრომლობა ადგილობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (იმერეთი);
- ❑ თანამშრომლობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობებთან (ახალქალაქი);
- ❑ თანამშრომლობა ადგილობრივ ახალგაზრდულ ცენტრთან (ნინოწმინდა, გორი);
- ❑ თანამშრომლობა ახალგაზრდულ სააგენტოსთან (თბილისი).

განხორციელებული საქმიანობები:

- ❑ 2 დღიანი სამუშაო შეხვედრა ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარებისა და ახალგაზრდული ჯგუფების სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით;
- ❑ 35-ზე მეტი საინფორმაციო-საკომუნიკაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც დაიფარა 500-მდე მოზარდ-ახალგაზრდა;
- ❑ თანამშრომლობა ადგილობრივ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან;
- ❑ ითანამშრომლეს ადგილობრივ მუნიციპალურ სამსახურებთან და დასახეს სამომავლო ერთობლივი პროექტები.

ჩატარდა ასოციაცია HERA XXI-ის წლის შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც გამოვლინდნენ 2023 წლის თანასწორ-განმანათლებელი, მოხალისე და ახალგაზრდული ჯგუფის ლიდერი, რომელთაც ასოციაციისგან სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

საინფორმაციო-საგანმანათლებლო რესურსი განათლების სისტემისთვის

2023 წელს, ასოციაცია „HERA XXI“ AMAZE-ს საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი მეორედ გახდა. ასოციაციამ პროექტის ფარგლებში AMAZE-ს სადისკუსიო გზამკვლევები, საგაკვეთილო გეგმები და დამხმარე გზამკვლევები, რომელიც UNESCO-ს სტანდარტის შესაბამისადაა შემუშავებული, თარგმნა და ადაპტირება მოახდინა, აღნიშნული რესურსები არის საერთაშორისოდ აპრობირებული, სანდო საინფორმაციო-საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მომზადდა განათლების სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს ყოვლისმომცველი სექსუალური განათლებას მიწოდებას.

პროექტის ფარგლებში AMAZE-ს ანიმაციური ვიდეოები ითარგმნა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე, ჟესტური გახმოვანებით. სწორედ აღნიშნული რესურსების დახმარებით ატარებდნენ ასოციაციის თანასწორ-განმანათლებლები, მოხალისეები, ლიდერები, ახალგაზრდული ჯგუფის წევრები და აქტივისტები საინფორმაციო-საკომუნიკაციო და სადისკუსიო შეხვედრებს ქვეყნის მასშტაბით.





6 მოხალისეობა

ასოციაცია HERA XXI 1998 წლიდან მხარს უჭერს მოხალისეობრივ საქმიანობას. მისი მხარდაჭერით ჩამოყალიბდა და განვითარდა მოხალისეთა მოძრაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით; დამკვიდრდა ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომები და ორგანიზაციის საქმიანობაში პრიორიტეტული მიმართულება გახდა ახალგაზრდებისა და მოხალისეთა ჩართულობა. ორგანიზაცია ასევე ხელს უწყობს მენტორობას და გამოცდილების გაზიარებას ორგანიზაციის გამოცდილ და შედარებით ახალ მოხალისეებს შორის.

2023 წელს ასოციაციას 2083 მოხალისე შეემატა. საქმიანობის მიზნობრივად კოორდინირება და სწორად შერჩეული მექანიზმები ორგანიზაციას დაეხმარა შეექმნა ძლიერი წარმატებული მოხალისეობრივი პლატფორმა, სადაც გათვალისწინებულია თითოეული მოხალისის ინტერესი და რესურსი.

ასოციაცია HERA XXI-ის მიერ მოხალისეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით ორგანიზაციის ბაზაზე ფუნქციონირებს პლატფორმა „ჰერა XXI- ალუმნების ქსელი“ . ჰაბი 544 ახალგაზრდაა გაწევრიანებული. ეს არის სივრცე თვითრეალიზაციისა და პიროვნული განვითარებისთვის, გამოცდილების გაზიარებისა და საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისათვის.

2023 წელს ორგანიზაციის მოხალისეებს და შტატის წევრებს ჩაუტარდათ IPPF SAFEGUARDING TRAINING და მიეწოდათ ინფორმაცია დაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ.

მოხალისეთა მობილიზატორის მიერ მოხდა მოხალისეთა გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების გაანალიზების შემდგომ მოხალისეებისთვის დაიგეგმა საინფორმაციო-საკომუნიკაციო შეხვედრები, რომელსაც უძღვებოდნენ მოხალისეთა მობილიზატორი, ახალგაზრდული მუშაკი, ასოციაციის იურიდიული კონსულტანტი და ოჯახის ექიმი, შემდეგ თემებზე:

- მოხალისეობა,
- ასოციაცია HERA XXI-ის მოხალისეობრივი პოლიტიკა,
- ინტერპერსონალური ურთიერთობები,
- ნაადრევი ქორწინება,
- ჯანსაღი ცხოვრების წესი,
- ადამიანის სხეული და მისი განვითარება,
- ქვეყანაში არსებული გენდერული ძალადობის პრევენციის სერვისების შესახებ სწავლება/ინსტრუქტაჟი,
- ქვეყანაში არსებული სახ. პროგრამებით გათვალისწინებული უფასო სრჯ მომსახურება და ასოციაციის სრჯ სერვისების შესახებ სწავლება/ინსტრუქტაჟი.

ასოციაცია HERA XXI-ის მოხალისეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში, ფორუმებსა და გამოფენებში.

7 ასოციაცია HERA XXI სოციალურ მედიაში















8 საერთაშორისო შესაძლებლობები ასოციაცია HERA XXI-ში

- **YSAFE**- არის მოხალისეთა ახალგაზრდული ქსელი, რომელიც აერთიანებს 25 წლამდე მოხალისეებს IPPF წევრი ასოციაციებიდან, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში.YSAFE ფოკუსირებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კომუნიკაცია, ადვოკატირება და ქსელის მომავალი. YSAFE-ს წევრებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებსა და ფორუმებში.
  ასოციაცია HERA XXI 2023 წლის ბოლოს გახდა Ysafe-ს მცირე გრანტის მფლობელი, ასოციაცია განახორციელებს მოკლევადიან ახალგაზრდულ პროექტს შიდა ქართლის რეგიონში.
- **ASTRA Network** - აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პლატფორმა- ასოციაცია ეწევა საერთაშორისო ადვოკატირებას სრჯუ თემებზე, გარდა ამისა მათ ვებ-გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ ასოციაციის მიერ მომზადებული ბიულეტინები სრჯუ თემებზე.

მობილიზებული რესურსების პროცენტული განაწილება ასოციაციის სტრატეგიული მიმართულების მიხედვით



სტრატეგიული მიმართულება 1: გენდერული თანასწორობისა და სრჯუ საკითხების ადვოკატირება

ქვეყანაში SRHR – მიმართ პოლიტიკური სოციალური და ეკონომიკური გარემო გაუმჯობესებულია ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებით.

სტრატეგიული მიმართულება 2: ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება

საქართველოში ახალგაზრდების უმეტესობას აქვს ცოდნა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, აკეთებს თავისუფალ არჩევანს და თავისი უფლებების რეალიზებას.

სტრატეგიული მიმართულება 3: მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარება და სამოქალაქო აქტივიზმის მხარდაჭერა

ასოციაცია HERA XXI არის ფინანსურად მდგრადი და უზრუნველყოფს ძლიერ მოხალისე აქტივისტებზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ მოძრაობას.

სტრატეგიული მიმართულება 4: გენდერულად მგრძნობიარე, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მაღალხარისხიანი სრჯ სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საქართველოს მოსახლეობის ღარიბი და მოწყვლადი ჯგუფების მეტ ნაწილს ხელი მიუწვდება უფლებებზე დაფუძნებულ სრჯუ სერვისებზე.

საკონტაქტო ინფორმაცია

ქ. თბილისი გამსახურდიას გამზ IIკვ შენობა 9 ბ 2;

xxihera@gmail.com

032 201 12 21

hera-youth.ge